



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



№ 94  
 08/10/2018

94-07-4-201810081513



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 განკარგულება №94  
 2018 წლის 08 ოქტომბერი  
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - იჯარის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 122-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე გარე განათების 304 ბოძის (თითოეულ ბოძზე წერტილოვანი მდებარეობისთვის წელიწადში 2 (ორი) ლარის ოდენობით) შპს „მაგთიკომისთვის“ 10 წლის ვადით პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - იჯარის ფორმით გადაცემაზე.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო